



სპეციალური საინფორმაციო-ანალიტიკური გამოშვება

რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების
ვერსიებს შორის განსხვავებების თაობაზე

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი

მიმოხილვა მომზადებულია ღია წყაროების მიხედვით

31 ოქტომბერი 2014

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა მოახდინა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ორი ვერსიის (რუსული და აფხაზური¹) შედარებითი ანალიზი.

დოკუმენტის ზოგადი შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის „ხელისუფლების ორგანოების“ მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტი შეიცავს მნიშვნელოვან განსხვავებებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტთან მიმართებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებები არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პროექტის ძირითად არსს. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებებიდან რომელიმეს ოფიციალურად გაფორმება მხარეებს შორის, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის სრული ანექსიისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯი.

პროექტებში დაფიქსირებული განსხვავებები შემდეგი ზოგადი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვამლევს:

ვერსიებში ასახულია მხარეების განსხვავებული მისწრაფებები: რუსული მხარის მიზანია „მოკავშირეობის“ საფუძველზე აფხაზეთის ფაქტობრივი ინკორპორაცია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში (სიტყვა „ინტეგრაცია“ ხელშეკრულების რუსულ ვერსიას ლაიტმოტივად გასდევს), ხოლო აფხაზური მხარის მიზანია რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების თუნდაც სიმბოლური შედეგების შენარჩუნება/განმტკიცება („ინტეგრაციის“ ნაცვლად „სტრატეგიული პარტნიორობის“ პრინციპის დამკვიდრებით).

კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებით ორი ვერსიის შედარება ქვემოთ მოყვანილ სურათს გვამლევს:

პრეამბულა და ზოგადი დებულებები

- რუსული მხარის მიერ სახელწოდებაში, პრეამბულაში და შემდგომ ტექსტში შეთავაზებული „ინტეგრაცია“ აფხაზურ ვერსიაში ყველგან შეცვლილია „სტრატეგიული პარტნიორობით“;

¹ მომზადდა აფხაზეთის სახალხო კრების („პარლამენტის“) დეპუტატთა ჯგუფის, „პრეზიდენტის“ ადმინისტრაციისა და ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ <http://apsnypress.info/docs/13382.html> 30.10.2014

- აფხაზურ ვერსიაში გადამუშავებულია დოკუმენტის პრეამბულა (ძირითადი პოლიტიკურ გზავნილი). ასე, რუსული მხარის მიერ შემოთავაზებული „იმერკავკასიის რეგიონი“ (Закавказский регион) აქ და შემდგომ შეცვლილია „კავკასიის რეგიონით“ (Кавказский регион); აქ იკითხება *აფხაზების სურვილი, არ მოწყდნენ ჩრდილო კავკასიას, სადაც (მის დასავლეთ ნაწილში) ეთნიკურად მათი მონათესავე ერები ცხოვრობენ;*

- ჩამატებულია აფხაზური მხრიდან დოკუმენტის შექმნის მოტივაცია - „ითვალისწინებენ რა ახალ გლობალურ და რეგიონულ გამოწვევებსა და საფრთხეებს“ (принимая во внимание новые глобальные и региональные вызовы и угрозы); ეს არის ირიბი პასუხი საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის პროცესზე, რადგან *აფხაზები წლების მანძილზე თავს ირწმუნებდნენ, თითქოს საქართველო გამოიყენებს ნატოში გაწევრიანებას საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის (მაღის გამოყენების გზით) აღდგენისათვის;*

- რუსული ვერსიის ჩანაწერი „თანამშრომლობა, მჭიდრო პარტნიორობა და ინტეგრაციული კავშირები“ (сотрудничества, тесного партнерства и интеграционных связей) შეიცვალა ფორმულირებით „ურთიერთქმედება, მოკავშირეობა და სტრატეგიული პარტნიორობა“ (взаимодействия, союзничества и стратегического партнерства); პრეამბულის დასკვნით ნაწილში რუსული ფორმულირება იხსნება იმის გამო, რომ საჭიროა შეინარსოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი რესპუბლიკის აბხაზია, სადაც *მიზნად ისახავს ზემოხსენებული აფხაზური პოზიციის გაძლიერებას;*

- მე-3 მუხლში (და შემდგომ) რუსული მხარის მიერ შეთავაზებული „შეთანხმებული“ (согласованной) საგარეო პოლიტიკის ნაცვლად აფხაზური მხარე სთავაზობს „კოორდინირებულ“ (скоординированной) საგარეო პოლიტიკას, ანუ *აფხაზეთს საგარეო პოლიტიკის სუბიექტად ყოფნა სურს;*

- ამავე მუხლში უაღრესად მნიშვნელოვანი რუსული ფორმულირების „ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნა“ (создание единого социального и экономического пространства) ნაცვლად აფხაზურ ვერსიაში შინაარსობრივად განსხვავებული ჩანაწერია - содействие социально-экономическому развитию Республики Абхазия; *აფხაზებს არ სურთ რუსულ სოციალურ-ეკონომიკური სივრცეში სრული გათქვეფა;*

- ამავე მუხლში აფხაზური მხარე ახალ ჩანაწერს სთავაზობს: создание условий для полноценного участия Республики Абхазия в интеграционных проектах на постсоветском пространстве, реализуемых по инициативе и (или) при содействии Российской Федерации; ეს ჩანაწერი პირდაპირ მეტყველებს, რომ *აფხაზები საბაჟო კავშირში (ევრაზიულ ეკონომიკურ*

კავშირში, ხოლო შემდგომ - ევრაზიულ კავშირში) და კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ОДКБ) წევრობას უმიზნებენ;

-ამავე მუხლში აფხაზურ ვერსიაში დაემატა სიტყვა „სულიერი“ (духовного) და მათი რედაქციით მუხლის დასკვნითი დებულება ასე ჟღერს: «сохранение общего культурного, духовного и гуманитарного пространства»;

საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, უშიშროება, კანონიერების და მართლწესრიგის უზრუნველყოფა

- მე-4 მუხლის პირველ პუნქტში - საგარეო პოლიტიკის ნაწილში - აფხაზური მხარე შემდეგ ფორმულირებას ამატებს: „რომელიც სხვადასხვა სფეროში ხორციელდება და ითვალისწინებს ხელშემკვრელი მხარეების ინტერესთა გათვალისწინებას ორმხრივი ინტერესების საკითხებზე, აგრეთვე ერთმანეთის ინფორმირებას ამასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებთან (უმოქმედობასთან)“ (которая осуществляется в различных сферах и предполагает учет интересов Договаривающихся Сторон по вопросам, представляющим взаимный интерес, а также информирование друг друга о совершаемых в этой связи действиях [бездействиях]); *აქაც საკუთარი ინტერესების დაცვის მცდელობაა;*

- ამავე მუხლის მეორე პუნქტში რუსული ჩანაწერი «созданию предпосылок для ее вступления в международные организации и объединения» შეცვლილია ფორმულირებით «условий для ее вступления в международные организации и объединения, в том числе в созданные по инициативе и при содействии Российской Федерации»; *ეს ჩანაწერიც მეტყველებს აფხაზების სწრაფვაზე გაწევრიანდნენ ზემოხსენებულ ორგანიზაციებში სუბიექტის სტატუსით;*

- მე-5 მუხლში, სადაც ახსნილია „თავდაცვისა და უშიშროების საერთო სივრცის“ არსი, პირველ დებულებაში სიტყვა „საკითხები“ (რუსული ვერსიით) შეცვლილია სიტყვებით „ყველა მნიშვნელოვან საკითხზე“ (по всем важным вопросам); ანუ, *აფხაზები ცდილობენ თავდაცვისა და უშიშროების სფეროში ზოგ საკითხზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლების შეინარჩუნებას; აფხაზების ეს მისწრაფება იკვეთება ხელშეკრულების შემდგომ პუნქტებშიც, რომელიც ეხება სამხედრო და უშიშროების სფეროში თანამშრომლობას.*

- ამავე მუხლში რუსული დებულების «создание общей оборонной инфраструктуры» ნაცვლად აფხაზები სთავაზობენ ჩანაწერს «создание общей оборонной инфраструктуры путем предоставления Объединенной группировке войск (сил) Договаривающимися Сторонами отдельных объектов военного назначения»; აქ *აფხაზების მცდელობაა, რომ სამხედრო ინფრასტრუქტურის ნაწილზე მაინც კონტროლი შეინარჩუნონ;*

- ამავე მუხლის ბოლო წინადადებას, სადაც საუბარია „აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის“ დაცვაზე, აფხაზები შემდეგი ჩანაწერის დამატებას სთავაზობენ: «с Грузией, а также границ морских пространств, на которые распространяются суверенитет, суверенные права и юрисдикция Республики Абхазия»; აქედან იკითხება აფხაზების მზაობა თუ სურვილი, რომ რუსეთთან ერთად დაიცვან „საზღვარი“ საქართველოსთან და „მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი“ ზღვის აკვატორია, მაგრამ არა საკუთრივ რუსეთის ფედერაციასთან მათი საზღვარი;

-აფხაზური ხელშეკრულების პროექტის ვერსიის ამავე მუხლის მეორე პუნქტში მითითებულია, რომ В целях управления Объединенной группировкой войск, Договаривающиеся стороны создают Совместное Командование. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების რუსულ ვარიანტში გამოყენებულია განსხვავებული ტერმინი - Объединенного командования - გაერთიანებული სარდლობა, ხოლო აფხაზურ ვარიანტში კი გამოყენებულია საერთო/ერთობლივი სარდლობა - Совместное Командование.

-აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-7 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულია ერთობლივი სარდლობის მართვა მხარეთა როტაციის პრინციპით, რაც არ გვხვდება რუსულ ვერსიაში. ამ დებულების ჩამატებით, აფხაზეთის „ხელისუფლების ორგანოები“ კიდევ ერთხელ მიუთითებენ, რომ სარგებლობენ რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით თანაბარი უფლებამოსილებით, მათ შორის, თავდაცვის სფეროში.

-აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებულია, რომ В период непосредственной угрозы агрессии и в военное время командующий Объединенной группировкой войск (сил) назначается уполномоченным органом Российской Федерации, его заместитель назначается уполномоченным органом Республики Абхазия. ეს დებულება განსხვავდება რუსული ვარიანტისგან, რომელიც არ იცნობს გაერთიანებული სამხედრო დანაყოფის მეთაურის მოადგილის აფხაზეთის მხრიდან დანიშვნას.

-აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტში ასევე ჩამატებულია, რომ გაერთიანებული სამხედრო დანაყოფის მომზადების და მის მიერ ოპერაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებენ აფხაზეთის და რუსეთის პრეზიდენტები. აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტში ასევე ჩამატებულია, რომ მყისიერი აგრესიის საფრთხის არსებობა განისაზღვრება მხარეთა ერთობლივი კონსულტაციების გზით, რომელიც შესაძლოა გაიმართოს ხელშეკრულების რომელიმე მხარის მოთხოვნით.

-მე-5, მე-6, და მე-7 მუხლების რუსული ვერსიით აფხაზეთის „პრეზიდენტი“ ფაქტობრივად კარგავს მთავარსარდლის ფუნქციებს, ხოლო აფხაზეთის „თავდაცვის მინისტრი“ და „გენერალური შტაბი“ კი კონტროლს არმიაზე. ამ ფაქტის გამოსწორების მცდელობაა

აფხაზური ვარიანტი სამხედრო დანაყოფების მეთაურების მოადგილეების აფხაზების მხრიდან დანიშვნის შემოთავაზება.

-აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში ასევე ჩამატებულია, რომ **Российская Федерация проводит: 1) оснащение Вооруженных Сил Республики Абхазия современным образцами вооружения** და 2) **подготовку Вооруженных сил Республики Абхазия с учетом новейших форм и методов ведения войны**, в том числе посредством \ проведения совместных командно-штабных и оперативно-тактических учений, в соответствии с отдельными договоренностями уполномоченных органов Договаривающихся Сторон, რაც ასევე არ გვხდება რუსულ ვერსიაში.

-აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-9 მუხლის მესამე პუნქტში ასევე ჩამატებულია, რომ **Договаривающиеся Стороны в течение двух лет осуществляют инженерно-техническое оснащение государственной границы Республики Абхазия с Грузией**, რაც ასევე არ გვხდება რუსულ ვერსიაში.

-ხელშეკრულებების პროექტების რუსული და აფხაზური ვერსიებით ასევე განსახვავებულად არის დარეგულირებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესი; კერძოდ, აფხაზური ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-10 მუხლის თანახმად, **Граждане Республики Абхазия** вправе проходить военную службу по контракту в воинских частях и соединениях Вооруженных Сил Российской Федерации, дислоцированных на территории Республики Абхазия, ხოლო რუსული ვერსიის ხელშეკრულების პროექტის მე-11 მუხლის თანახმად კი, **Граждане Республики Абхазия, имеющие гражданство Российской Федерации**, вправе проходить военную службу по контракту в воинских частях и соединениях Вооруженных Сил Российской Федерации, дислоцированных на территории Республики Абхазия, Объединенной группировке войск (сил), Объединенном командовании, а также службу в Совместном координационном центре органов внутренних дел. Порядок прохождения военной службы в указанных воинских частях, соединениях и органах и порядок прохождения службы в Совместном координационном центре органов внутренних дел **регламентируются нормативными правовыми актами Российской Федерации.**

ერთობლივი ეკონომიკური და საბაჟო სივრცის ფორმირება

-მე-13 მუხლი აფხაზურ ვერსიაში სრულიად შეცვლილია. აფხაზური ვარიანტი ითვალისწინებს საბაჟო სფეროში ორივე მხარის გარკვეულ თანასწორობას და თანაბარ უფლებებს. რუსულ ვარიანტში გამოკვეთილია რუსეთის დომინანტური უფლებამოსილებები.

სოციალური დაცვა და საპენსიო საკითხები

-მე-14 მუხლი აფხაზურ ვერსიაში ასევე სრულიად შეცვლილია. აფხაზური ვარიანტი ითვალისწინებს ღონისძიებებს მხოლოდ აფხაზების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურების გამარტივების შესახებ. რუსული ვარიანტში ხაზგასმულია შეთანხმების ხელმოწერი ორივე მხარის მიერ ერთმანეთის მოქალაქეობის მიღების წახალისება და გამარტივება; რუსულ ვარიანტში ტექსტი იწყება: „Договаривающиеся Стороны примут дополнительные меры...“ მაშინ როდესაც აფხაზურ ვერსიაში კი: „Российская Федерация примет дополнительные меры...“

-მე-15 მუხლი დაკონკრეტებულია აფხაზურ ვერსიაში. რუსული ვერსია ითვალისწინებს სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორების თანამშრომელთა ხელფასების ეტაპობრივ ზრდას. აფხაზურ ვერსიაში უფრო მეტი კონკრეტიკაა: აღნიშნულია 2-წლიანი ვადა, რომლის განმავლობაში უნდა მოხდეს დასახელებულ მოსამსახურეთა ხელფასების ზრდა რუსეთის სამხრეთი ფედერალური ოლქის შესაბამისი კატეგორიის თანამშრომელთა ხელფასების დონემდე;

-მე-16 მუხლი ნაწილობრივ შეცვლილია აფხაზურ ვარიანტში. რუსულ ვარიანტში აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის მხარედ მითითებულია რუსეთი და აფხაზეთი; მაშინ, როდესაც აფხაზურ ვარიანტში ეს პასუხისმგებლობა მთლიანად მოხსნილია აფხაზური მხარისაგან. ამავე დროს, ამ ღონისძიებისათვის აფხაზური მხარის მიერ გათვალისწინებულია 2-წლიანი ვადა, ნაცვლად რუსულ ვარიანტში მოცემული 3 წლისა. ასევე, პენსიების მისაღწევ დონედ განსაზღვრულია შეთანხმების ხელმოწერის დროისთვის რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში არსებული საპენსიო უზრუნველყოფის დონე;

-მე-17 მუხლი გადამუშავებულია. მე – 2 პუნქტში სავალდებულო სოციალური დაზღვევის ღონისძიებათა გეგმის თაობაზე აფხაზურ ვარიანტში მითითებულია შეთანხმების ორივე მხარის მიერ კანონმდებლობის სრულყოფა. რუსული ვარიანტი ითვალისწინებს ამ ღონისძიების განხორციელებას მხოლოდ აფხაზეთის მიერ. ამავე დროს, ამისათვის რუსეთს განსაზღვრული აქვს 3-თვიანი პერიოდი, აფხაზებს - 6 თვე;

ჯანმრთელობის დაცვა და განათლება

-22-ე მუხლი აფხაზურ ვერსიაში მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებულია. რუსული ვარიანტის მიხედვით, აფხაზური მხარე განათლების სფეროში ამუშავებს მხოლოდ განვითარების ძირითად მიმართულებებს, სტანდარტებს და სხვ. რაც შეეხება

საგანმანათლებლო და პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს, მათი დამუშავება ერთობლივად, ორივე მხარის მიერ არის გათვალისწინებული. აფხაზური ვარიანტის მიხედვით ყოველივე ზემოაღნიშნულს ახორციელებს მხოლოდ აფხაზური მხარე რუსეთთან თანამშრომლობით; *აღნიშნულ პუნქტში რუსულ და აფხაზურ ვერსიებს შორის სხვაობაში და აფხაზების მიერ ჩამატებულ შემდგომ პუნქტში იკვეთება აფხაზების ცნობიერი თუ ქვეცნობიერი შიში რუსეთთან ასიმილაციის მიმართ.*

რუსულ ვარიანტში არ არის მუხლი აფხაზური ენის შესახებ, რომელსაც აფხაზურ ვერსიაში ეძღვნება სპეციალური 23-ე მუხლი. ის ითვალისწინებს აფხაზური ენის განვითარების პროგრამის რეალიზაციაში რუსეთის დახმარებას;

დასკვნითი დებულებები

რუსულ ვარიანტში აღნიშნულია, რომ შეთანხმება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით. აფხაზურ ვარიანტში არ არის ამგვარი ფორმულირება. შეთანხმების მოქმედების ვადა მიბმულია რუსეთსა და აფხაზეთს შორის 2008 წლის 17 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებაზე შემდეგი ჩანაწერით: Настоящий Договор заключается на срок действия Договора о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Абхазия, подписанном 17 сентября 2008 года в г. Москве. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედების ვადა კი განსაზღვრული იყო 10 წლით, მისი 5 წლით ავტომატურად გაგრძელებით თუ მხარეები არ გადაწყვეტენ სხვანაირად.

* * *

ექვგარეშეა, რომ რუსეთი აფხაზეთთან მიმართებით ისე მოიქცევა, როგორც საჭიროდ მიიჩნევს და საერთაშორისო ლეგიტიმაციის არმქონე „ხელშეკრულების“ დებულებების ამა თუ იმ სახით ფორმულირება მას საკუთარ ჩანაფიქრს ვერ შეაცვლევინებს. ამ თვალსაზრისით ეს დოკუმენტი მინიმალური დატვირთვის მატარებელია. იმავდროულად, „ხელშეკრულების“ ტექსტის გარშემო მიმდინარე დისკუსია, „ხელშეკრულების“ მეორე („აფხაზური“) ვერსიის გაჩენა, ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანია მხარეთა პოზიციების, განზრახულობებისა და მიზნების გაგება/გააზრების კუთხით.

თანმხლები ინფორმაცია და კომენტარები:

Сергей Маркедонов: «Россия и Абхазия: союзничество и интеграция» 14.10.2014
<http://www.politcom.ru/18185.html>

Сергей Маркедонов: «РОССИЙСКО-АБХАЗСКИЙ ДОГОВОР: ГРУЗИНСКИЙ ФАКТОР»
21.10.2014 <http://www.politcom.ru/18206.html>

Дмитрий Карцев: «Одна армия на двоих» 14.10.2014 http://m.gazeta.ru/politics/2014/10/13_a_6260101.shtml

МИД РФ: никто не вправе помешать России и Абхазии совершенствовать свои отношения
16 октября 2014 <http://itar-tass.com/politika/1513394>

Дэмис Поландов: «Паата Закареишвили: Никто не думает о признании или непризнании Абхазии»
17.10.2014 <http://www.ekhokavkaza.ru/content/article/26643002.html>

Федор Лукьянов: «Абхазская диалектика леса и деревьев» 20.10.2014 <http://tass.ru/opinions/2294>

Александр КРЫЛОВ, Андрей АРЕШЕВ: «НЕКОТОРЫЕ СООБРАЖЕНИЯ О ПРОЕКТЕ НОВОГО ДОГОВОРА МЕЖДУ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИЕЙ И РЕСПУБЛИКОЙ АБХАЗИЯ» 17.10.2014
<http://www.kavkazoved.info/news/2014/10/17/nekotorye-soobrazhenia-o-proekte-novogo-dogovora-mezhdu-rossijskoy-federaciey-i-respublikoy-abhazia.html>

Евгений Крутиков: «Поторопились: у скандала вокруг предложенного Россией Абхазии договора есть вполне понятные причины» 21.10.2014 <http://vz.ru/politics/2014/10/21/711627.html>

Андрей Епифанцев: «Три Абхазии и проект нового российско-абхазского договора» 21.10.2014
<http://www.regnum.ru/news/polit/1858976.html>

Антон Кривенюк: Сухум не имеет ответа на признание Грузией независимости Абхазии
29.10.2014 <http://www.regnum.ru/news/fd-abroad/georgia/1861589.html>

Изида Чаниа: Встречное предложение – дружить странами
30.10.2014 <http://www.ekhokavkaza.ru/content/blog/26666804.html>

ჯეიმს აპატურაი: „ეს იქნება კიდევ ერთი გამოვლინება იმისა, რომ რუსეთი ცდილობს, შეცვალოს ევროპის პოლიტიკური რუკა“ 31 ოქტომბერი, 2014 <http://reportiori.ge/?menuid=8&id=43417>